საკითხავი ბავშვებისთვის

# ბავშვების განათლების უფლება

მომზადებულია თამარ გაბოძის მიერ





დოკუმენტი მომზადდა **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR-ის** მიერ, **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR-ი** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

## დოკუმენტში წაიკითხავ:

- ვის აქვს განათლების უფლება
- რას ნიშნავს განათლების უფლება
- რა არის განათლების მიზანი
- ვინ არის ვალდებული ბავშვის განათლების უფლების დაცვაზე
- სკოლაში ბავშვის მიმართ ძალადობის დაუშვებლობა



# ვის აქვს განათლების უფლება?

განათლების მიღების უფლება აქვს ყველას.

ბავშვს აქვს უფლება:

- მიიღოს უფასო და ხარისხიანი განათლება.
- განათლება მიიღოს იმ ენაზე, რომელიც ესმის.

# რას ნიშნავს განათლების უფლება?

განათლების უფლება უფრო მეტია, ვიდრე სკოლებში საგნების სწავლება.

განათლების უფლებით სარგებლობა ნიშნავს, რომ:

- ბავშვმა სასკოლო საგნების სწავლის გარდა, გამოავლინოს და გაიუმჯობესოს შესაძლებლობები.
- საგაკვეთილო პროცესი ადვილად გასაგები უნდა იყოს ბავშვისთვის.
- ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, შესაბამისად, სწავლება მორგებული უნდა იყოს ყველა ბავშვზე მათი განსხვავებულობის მიუხედავად.
- ბავშვს უნდა შეეძლოს, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი.
- ისწავლოს, როგორ გაუმკლავდეს სირთულეებს.
- ჩართული იყოს სასკოლო ღონისძიებებში და სკოლის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- სკოლა უნდა იყოს მეგობრული და კეთილგანწყობილი მოსწავლის მიმართ.

განათლების უფლება გულისხმობს სწავლას ისე, რომ მოსწავლემ იცოდეს თავისი უფლებები და ამ უფლებების პრაქტიკაში გამოყენება!

ასევე, მოსწავლე პატივს უნდა სცემდეს სხვის უფლებებს!

# რა არის განათლების მიზანი?

განათლების მიზანია ბავშვის შესაძლებლობების განვითარება და მისი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ასევე, განათლება ეხმარება ბავშვს:

- მომავალში დაეუფლოს იმ პროფესიას, რომელიც სურს;
- ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი;
- ადვილად გადალახოს დაბრკოლებები;
- შეძლოს საკუთარი თავის დაცვა და სხვების დახმარება;
- მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

განათლება ამცირებს სიღარიბეს და უთანასწორობას!

განათლება მნიშვნელოვანია ბავშვების კეთილდღეობისთვის და უსაფრთხოებისთვის!



## რას ნიშნავს უფლების პრაქტიკაში გამოყენება?

მაგალითად: თუ მოსწავლემ იცის, რომ არავის არ აქვს მასზე ძალადობის უფლება, ეს არ არის საკმარისი. მან უნდა იცოდეს ვის მიმართოს დასახმარებლად ძალადობის შემთხვევაში.

თუ მოსწავლე თავისი უფლების დასაცავად მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას, მშობელს, მასწავლებელს ადვოკატს ან ნებისმიერ ადამიანს, ამის გამო არ უნდა გააკრიტიკონ იგი. სკოლა უნდა დაეხმაროს ბავშვს, როდესაც ის საკუთარი უფლების დაცვას ცდილობს.

# ვინ არის ვალდებული ბავშვის განათლების უფლების დაცვაზე

ბავშვების განათლების უფლების მიღებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, ანუ ის ქვეყანა, სადაც ბავშვი ცხოვრობს.

არა აქვს მნიშვნელობა ბავშვი ამ ქვეყანაში მუდმივად ცხოვრობს თუ დროებით.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა ბავშვისთვის შექმნას თანაბარი შესაძლებლობა უფასო და ხარისხიანი განათლების მისაღებად და არავის მიმართ ხდებოდეს უთანასწორო მოპყრობა.

სახელმწიფოს ევალება მიიღოს ზომები, რომ არცერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეშე.

მშობლები ჩართულები უნდა იყვნენ ბავშვების განათლებაში. მათ აქვთ უფლება, საკუთარი შეხედულების შესაბამისად აღზარდონ თავისი შვილები. თუმცა, სასწავლო გეგმის შედგენა (რაც სკოლებში ისწავლება) სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.

# სკოლაში ბავშვის მიმართ ძალადობის დაუშვებლობა

აკრძალულია ბავშვზე ძალადობა ნებისმიერ ადგილას, მათ შორის, სკოლაში.

ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური, ან/და რაიმეს იძულება.

სკოლაში რომ არ მოხდეს ძალადობა, ამისთვის სკოლა მუდმივად უნდა ატარებდეს სხვადასხვა აქტივობებს ბავშვებთან და მასწავლებლებთან. ძალადობის მავნე ზეგავლენებზე უნდა ესაუბრებოდნენ მოსწავლეებს. ადამიანის უფლებების დაცვას უნდა ასწავლიდნენ, როგორც გაკვეთილებზე, ასევე არაფორმალური განათლების დროს (რომელიც არ არის საგაკვეთილო პროცესი და მიზნად ისახავს მოსწავლის ცოდნის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას).

დაუშვებელია სკოლაში დისციპლინურ ზომად ნებისმიერი ფორმის ძალადობის გამოყენება. მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯა ან დამამცირებელი მოპყრობა.

ზოგჯერ ბავშვმა შეიძლება ვერ ისაუბროს ძალადობის შესახებ. ასეთ შემთხვევებზეც პასუხისმგებელია სკოლა, რომ სწრაფად გამოავლინოს სავარაუდო ძალადობა და დაიცვას ბავშვი.

სკოლაში უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომ ბავშვს ადვილად შეეძლოს დახმარების თხოვნა. სკოლა უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ყველა მოსწავლე თავს დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობს.

## ვის შეიძლება მიმართო შენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში:

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბავშვთა ცხელი ხაზი - 111

იურიდიული დახმარების სამსახური - 292 00 55

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი -1481

ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - 032 233 13 56